

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ სიმონიშვილის
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით დასწრებული ვარ საკრებულოს ყველა სხდომას. ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ვესწრები კომისიის სხდომებს.

როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ანაგიდან, აქტიურად ვმონაწილეობ სოფელ ანაგაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა სოფელში წყალმომარაგების პრობლემების გადაჭრისათვის, თუმცა წყალმომარაგების გაუჯობესება სოფელში მაინც უპირველესი პრობლემაა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. მნიშვნელოვანია სოფლის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ე.წ. „მთავარანგელოზის ხევზე“ ახალი სათავე ნაგებობების მოწყობა და ახალი მაგისტრალური ქსელის მოწყობა რეზერვუარების დაყენებით, რომლის სამუშაოები უკვე დამთავრების სტადიაშია.


ასევე 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა სოფლის ყველა ძირითადი შიდა გზების მოხრეშვა-მოსწორება, თუმცა რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, დიდი წვიმების დროს კვლავ უარესდება გზების მდგომარეობა. აღნიშნულის ფარგლებში უკვე დაიწყო „მთავარანგელოზის ხევზე“ ცენტრალური გზის ქვევით ნაპირგამაგრებითი სამუშაოები, მოეწყობა გაბიონები და საფრთხე აღარ შეექმნება საავტომობილო გზას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია „მთავარანგელოზის გზაზე“ და „ბაიდარაანების“ სასაფლაოსთან წყალგამტარეს მოწყობა, რათა წვიმის დროს წყალმა აღარ იდინოს გზებზე და ჩაედინოს ხევებში.

გამოცხადებულია ტენდერი ე.წ. „გალავნის გზის“ მოასფალტებაზე. მოასფალტებული იქნება 900 მეტრი გზა, თუმცა სამწუხაროდ სოფელი ანაგა მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება შიდა გზების მოასფალტების კუთხით., რაზედაც ყოველთვის ხდება ჩემს მიერ საკითხის დასმა.

სოფლის დახმარების პროგრამით, მოსახლების მოთხოვნით, ე.წ. „ზარიაულზე“ მოეწყო სკვერი, ასევე ანაგის საჯარო სკოლაში მოწესრიგდა სველი წერტილები.

აქტიური, ყოველდღიური შეხვედრები მაქვს სოფელ ანაგის მოსახლეობასთან . მოსახლეობას შეძლებისდაგვარად ვუხმარები საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი:



/ვ.სიმონიშვილი/

28.10.2019 წელი.